



## საია კარვის გაშლის გამო პირის ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ასაჩივრებს

2023 წლის 14 სექტემბერს, საიამ მშვიდლობიანი პროტესტის გამოხატვისას უკანონოდ დაკავებული და ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობილი, ბურაბ ქარჩავას სახელით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა.

2022 წლის 28 დეკემბერს, ქ. ბათუმში, სამოქალაქო აქტივისტი ბურაბ ქარჩავა პოლიციამ უკანონოდ დააკავა და არ მისცა მას მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის შესაძლებლობა. ბურაბ ქარჩავა საჯარო სკოლებში მოსწავლეებისთვის უფასო კვების არარსებობის გაპროტესტებას კარვის განთავსებით აპირებდა. მან საკუთარი პოზიციის გამოხატვისთვის პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას, მიმართა.

პროტესტის გამოხატვის დროს პოლიციამ, მათივე განმარტებით, გასაუბრების მიზნით იგი

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა. მოგვიანებით სამართალდამცავებმა ბურაბ ქარჩავას პოლიციის შენობის დატოვების საშუალება მისცეს, სამართალდარღვევის და დაკავების ოქმების შედგენის გარეშე, თუმცა, მთელი ამ დროის განმავლობაში პოლიციელები ზემოქმედების სხვადასხვა ფორმით ცდილობდნენ ბურაბ ქარჩავა დაეყოლიებინათ პროტესტის შეწყვეტაზე. ამის შემდეგ, ბურაბ ქარჩავა დაუბრუნდა იმ ადგილს, სადაც პროტესტის გამოხატვა სურდა და დაიწყო ხელმეორედ კარვის განთავსება. მალევე, ბურაბ ქარჩავა პოლიციამ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავა, რაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას გულისხმობს. როგორც სამართალდამცავები ბურაბ ქარჩავას განუმარტავდნენ, მისი პროტესტი ხელს უშლიდა საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირებას, თუმცა, მათ არ განუმარტავთ, როგორ შეიძლებოდა სასამართლოს შენობისგან დაახლოებით 25 მეტრის მოშორებით გაშლილ კარავს ხელი შეეშალა ამ უკანასკნელის ფუნქციონირებისათვის.

საქმის განხილვისას ეროვნული სასამართლოების მიერ ვერ გაეცა პასუხი კითხვებს, თუ რატომ იყო ბურაბ ქარჩავა დაკავებული ერთი დღის განმავლობაში და რის საფუძველზე იყო მისთვის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლება შეზღუდული. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლემ გადაწყვეტილების მიღებამდე არამხოლოდ პირდაპირ უწოდა ბურაბ ქარჩავას სამართალდამრღვევი, არამედ, დადგენილება არასწორ ფაქტებს დააფუძნა. ამასთან, აღსანიშნავია დადგენილების შაბლონური ხასიათიც, რომელშიც საქმის არცერთი ინდივიდუალური გარემოება არ არის შეფასებული და გაანალიზებული. დადგენილება ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლომაც, რითაც ეროვნულ დონეზე დასრულდა საქმის განხილვა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით მშვიდობიანი პროტესტის შეზღუდვა საქართველოში ფართოდ გავრცელებულ სახიფათო ტენდენციას წარმოადგენს და არა მხოლოდ ბურაბ ქარჩავას, არამედ სხვა მშვიდობიანი პროტესტის გამოხატვის მსურველი პირებისთვისაც ქმნის მსუსხავ ეფექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ევროპული კონვენციის მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების დარღვევის დადგენის მოთხოვნით მიმართა.

*ამ საქმეს საია USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით აწარმოებს.*